# ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი

## სსიპ - ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტსა და

## ა(ა)იპ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ბათუმის წმინდა მატათა მოციქულის სახელობის გიმნაზიას შორის

30 მაისი, 2025 წელი

ქ. ბათუმი

პრეამბულა

ერთი მხრივ, სსიპ - ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტი (შემდგომში „უნივერსიტეტი"), წარმოდგენილი რექტორის, მამუკა ალაფიშვილის მიერ და მეორე მხრივ, ა(ა)იპ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ბათუმის წმინდა მატათა მოციქულის სახელობის გიმნაზია ( შემდგომში ,,გიმნაზია'') წარმოდგენილი დირექტორის იღუმენია სიდონიას მიერ, ორივე ერთად „მხარეებად" წოდებული, ეყრდნობიან რა თანამშრომლობისა და ურთიერთპატივისცემის პრინციპებს, გამოვთქვამთ მზადყოფნას, ერთობლივი ღონისძიებებით ხელი შევუწყოთ სტუდენტთა განათლების ხელმისაწვდომობას, რისთვისაც ვთანხმდებით შემდეგზე:

**მუხლი 1. მემორანდუმის მიზანი**

წინამდებარე მემორანდუმის მიზანია გიმნაზიის 1 (ერთი) კურსამთავრებულისათვის (შემდგომში, ,,სტუდენტი"), რომელიც ჩაირიცხება უნივერსიტეტში, სწავლის საფასურის დაფინანსება 4 წლის განმავლობაში.

**მუხლი 2. მემორანდუმის საგანი**

1. წინამდებარე მემორანდუმის საფუძველზე ,,გიმნაზია'' და ,,უნივერსიტეტი" თანხმდებიან ქვემოთ მოცემული პირობებით მჭიდროდ ითანამშრომლონ პირველ მუხლში აღნიშნული მიზნის მისაღწევად, რისთვისაც:

1.1. ,,უნივერსიტეტი" გამოთქვამს მზადყოფნას ყოველი კალენდარული წლის შემოდგომის სემესტრში, უნივერსიტეტში ჩატარებული კონკურსის შედეგად გამოავლინოს 1 სტუდენტი და დაუფინანსოს უნივერსიტეტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის საფასური არაუმეტეს 240 კრედიტის ფარგლებში. კონკურსში უპირატესობა ენიჭება ერთიან ეროვნულ გამოცდებზე უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრულ არჩევითი საგნის გამოცდაზე აბიტურიენტის მიერ მიღებულ სკალირებულ ქულას.

**1.2. ,,გიმნაზია" გამოთქვამს მზადყოფნას:**

1.2.1. უზრუნველყოფს უნივერსიტეტთან შეთანხმებით, გიმნაზიისათვის ხელმისაწვდომ საკომინუკაციო არხ(ებ)ში ინფორმაციის გავრცელებას იმის შესახებ რომ სტუდენტების დაფინანსების მხარდამჭერს წარმოადგენს უნივერსიტეტი.

1.2.2. გიმნაზია უზრუნველყოფს პოსტერის სახით (უნივერსიტეის მიერ მიწოდებული პოსტერით), წინამდებარე მემორანდუმის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნებას.

2. მხარეები ასევე თანხმდებიან, რომ კომპეტენციის ფარგლებში ხელს შეუწყობენ ურთიერთობის განმტკიცებას და თანამშრომლობას განათლებისა და მეცნიერების სფეროში მხარეთა სტუდენტების ინტერესების შესაბამისად.

3. წინამდებარე მემორანდუმით გათვალისწინებული თანამშრომლობა განხორციელდება ,,გიმნაზიისა'' და ,,უნივერსიტეტის" დებულებაზე/წესდებაზე და საქართველოს კანონმდებლობაზე დაყრდნობით.

**მუხლი 3. მხარეთა თანამშრომლობის პირობები**

მხარეები თანხმდებიან შემდეგზე:

1. მჭიდროდ ითანამშრომლონ ერთმანეთთან მემორანდუმის საგნით გათვალისწინებული საქმიანობის წარმატებით განსახორციელებლად.
2. მემორანდუმის მიზნის განხორციელებასთან დაკავშირებული საკითხები უნდა გადაწყდეს მხარეთა შორის მოლაპარაკებებისა და შეთავაზების წარდგენის გზით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
3. მემორანდუმის ფარგლებში გაუზიარონ ერთმანეთს გამოცდილება და მისცენ რეკომენდაციები.

**მუხლი 4. მემორანდუმში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა**

მემორანდუმში მხარეთა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე შესაძლებელია ცვლილებისა და დამატების შეტანა, რომელიც ფორმდება წერილობითი ფორმით, წარმოადგენს მემორანდუმის განუყოფელ ნაწილს და ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან.

**მუხლი 5. გარდამავალი და დასკვნითი დებულებები**

1. წინამდებარე მემორანდუმი ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 4 წლის ვადით.
2. თითოეული მხარე უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე მემორანდუმი შეწყვეტის თარიღამდე 10 (ათი) კალენდარული დღით ადრე წერილობითი შეტყობინების მემორანდუმის მეორე მხარისათვის გაგზავნის გზით.
3. წინამდებარე მემორანდუმის პირობები ვრცელდება მხარეებზე და მათ წარმომადგენლებზე.
4. ნებისმიერი ცვლილების და დამატების შეტანა წინამდებარე მემორანდუმში უნდა განხორციელდეს წერილობითი ფორმით.
5. მემორანდუმი შედგენილია 2 (ორი) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად ქართულ ენაზე და ინახება მხარეებთან.

**მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები**

**სსიპ - ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტი**

ზ.გორგილაძის/ვაჟა-ფშაველას №19/32
საიდენტიფიკაციო კოდი: 245628496
ტელ: +995 551 21 75 77
ელ.ფოსტა: info@batu.edu.ge
ვებ.გვ: batu.edu.ge
რექტორი: მ. ალაფიშვილი

**ა(ა)იპ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ბათუმის წმინდა მატათა მოციქულის სახელობის გიმნაზია**

ხელვაჩაური, სოფელი ფერია მე-9 ქუჩა N22
საიდენტიფიკაციო კოდი: 248387892
ტელ: +995 577 01 95 95
ელ.ფოსტა: gimnaziapansioni.2004.@gmail.com
დირექტორი: ი. სიდონია